პატივი და დიდება საბჭოთა ქალებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 48 (3278)

8 მარტი, ოთხშაბათი. 1967 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ნახ. გ. იაშვილისა.

საბჭოთა ქალებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის გამო

ძვირფასო ამხანაგო ქალებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს — თანასწორუფლებიანობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში ქალთა სოლიდარობის დღესასწაულს.

ჩვენს ქვეყანაში 8 მარტის დღე ერთ-ერთი საყვარელი სახალხო დღესასწაული გახდა, და ეს მკაფიო დადასტურებაა იმისა, თუ რა უდიდესი პატივისცემით სარგებლობენ ქალები საბჭოთა საზოგადოებაში.

წელს ჩვენი სამშობლო ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. სახელოვანი იუბილეს გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალთა საერთაშორისო დღესაც. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ ბოლო მოუღო ქალთა უუფლებობას, ბორკილი აჰყარა და გამოიყვანა საზოგადო, შემოქმედებითი საქმიანობის ფართო გზაზე, უსაზღვრო შესაძლებლობანი შეუქმნა ნიჭისა და უნარის განვითარებისათვის. მამაკაცებთან ერთად საბჭოთა ქალებმა, როგორც ომის მძიმე წლებში, ისე მშვიდობიანი მშენებლობის წლებში გამოიჩინეს სამაგალითო მამაცობა და გმირობა, თავდადებით და ბეჯითად შრომობდნენ და შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. მათ გაუძლეს ყველა სიძნელესა და განსაცდელს, რომლებიც წილად ხვდათ მსოფლიოში პირველი სოციალისტური წყობილების შემქმნელებს.

სოციალიზმის პირობებში ჩვენი ქვეყნის ქალები გახდნენ თავისუფალნი, და თანასწორუფლებიანნი, ამაყნი და გაბედულნი, განათლებულნი და აქტიურნი, მომავლის რწმენით აღსავსენი და ბედნიერნი. საბჭოთა ქალებით აღტაცებული არიან, მათ ბაძავენ, მაგალითს იღებენ მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელი ქალი.

სსრ კავშირში ქალებს შექმნილი აქვთ ფართო ასპარეზი გამოიყენონ ენერგია და ინიციატივა. მილიონობით საბჭოთა ქალი მუშაობს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, სპორტულ ორგანიზაციებსა და საბავშვო დაწესებულებებში. მათი ნიჭი, მაძიებელი გონება, გულისხმიერება, მზრუნველი თვალი იგრძნობა ყველგან, კომუნისტური მშენებლობის ყოველ უბანზე.

ასრულებენ რა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ანდერძს, საბჭოთა ქალები მამაკაცების თანაბრად აქტიურად მონაწილეობენ ყველა სახელმწიფო საქმეში: საბჭოთა კანონების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გეგმების შემუშავებასა და მიღებაში, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. პარტიულ ყრილობებსა და კონფერენციებზე, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში, ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია ასეულ ათასობით ქალი.

ჩვენი ქალები თავიანთ შვილებს უნერგავენ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს — კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულებას, მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობას, შრომისმოყვარეობას, კოლექტივიზმს, საბჭოთა პატრიოტიზმსა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ იმისათვის, რომ უფრო კარგი და ლამაზი იყოს ქალების ცხოვრება, ცდილობენ უფრო სრულად დააკმაყოფილონ მათი სულიერი მოთხოვნილებანი. წლითიწლობით უმჯობესდება საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, სულ უფრო მეტი შენდება საბავშვო ბაღები და ბაგები. სრულყოფილი ხდება სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა ოჯახი, ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო მკვიდრდება კომუნისტური მორალის პრინციპები.

დიდია საბჭოთა ქალების როლი ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში. წლითიწლობით მტკიცდება მათი კავშირი მთელი მსოფლიოს ქალთა პროგრესულ ორგანიზაციებთან. საბჭოთა ქალები პირველთა შორის იბრძვიან უუფლებობისა და სიღატაკის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ბავშვთა ბედნიერებისათვის. ისინი გადაჭრით გმობენ ამერიკის ყაჩაღურ აგრესიას ვიეტნამში, გმობენ იმპერიალისტთა იმ ცდებს, რომ კაცობრიობას თავს დაატეხონ ახალი მსოფლიო ომი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ქალები, მთელ ხალხთან ერთად, კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, თავიანთი თავდადებული შრომით განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს შეხვდებიან ახალი მიღწევებით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა ქალებს:

— კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშის ქვეშ;

— იყავით კომუნიზმის მშენებელთა, მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა პირველ რიგებში;

— სულ უფრო განამტკიცეთ მჭიდრო მეგობრობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ქალებთან, გაუზიარეთ მათ შრომის, საზოგადოებრივი საქმიანობისა და ბავშვთა აღზრდის გამოცდილება;

— სულ უფრო განამტკიცეთ ინტერნაციონალური კავშირი მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელ ქალებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ უსურვებს საბჭოთა ქალებს შემოქმედებითს წარმატებებს შრომაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, დიდ ბედნიერებას ცხოვრებაში.

გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, რომელმაც საბჭოთა ქალებს მოუტანა თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა და ბედნიერება!

პატივი და დიდება საბჭოთა ქალებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ზამთრის პროფკავშირული

გ ო რ კ ი, 6 მარტი. სათხილამურო სპორტის ვეტერანი ი. უტრობინი (მოსკოვის ოლქი) 4×10 კილომეტრზე ესტაფეტის ნამდვილი გმირი იყო. იგი გამოდიოდა უკანასკნელ ეტაპზე, სადაც აჩვენა საუკეთესო დრო — 34.17,0 და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. სტარტიდან კი მოსკოვის ოლქის გუნდის წარმომადგენელი ბ. სტეპანოვი თითქმის ბოლო გავიდა. პირველსავე წუთზე მას თხილამური გაუტყდა. ინვენტარი შეუცვალეს, მაგრამ დრო ხომ დაიკარგა. დაწინაურდნენ მოსკოველი სპორტსმენები. II და III ეტაპზე ლიდერობა ხელთ იგდეს კემეროვოს ოლქის მოთხილამურეებმა. უტრობინმა ესტაფეტა მაშინ მიიღო, როცა მისი გუნდი 2 წუთს აგებდა ლიდერებთან. შესანიშნავმა სპორტსმენმა ჯერ 2 მეტოქეს გაუსწრო, ხოლო უკანასკნელ 5 კილომეტრზე დაეწია კემეროვოს ოლქის წარმომადგენელს ნ. ტერებილოვს, შემდეგ გაუსწრო მასაც და ფინიშთან პირველი მივიდა.

დღეს სპარტაკიადის მეორე ოქროს მედალი მოიხვეჭა მოსკოველმა ფ. სალიმჟანოვამ. მან 10 კილომეტრზე რბოლაში გაუსწრო ყველა მეტოქეს და აჩვენა 42.41,0.

სპარტაკიადის შეჯიბრებათა პროგრამა თანდათან მცირდება. დარჩა ფიგურისტების, მოთხილამურეებისა და ჰოკეისტთა ასპარეზობები.



◆ **გორკი, 7 მარტი.** პროფკავშირთა ზამთრის VI სპარტაკიადის მესამე ოქროს მედალი ესტაფეტაში 4×5 კილომეტრზე მოიპოვა მოსკოველმა მოთხილამურემ ფ. სალიმჟანოვამ.

◆ **ლვოვი, 7 მარტი.** უძლიერეს მოფარიკავეთა საკავშირო შეჯიბრების დარჩენილ სახეობებში გაიმარჯვეს მოსკოველებმა მ. რაკიტამ (ესპადრონი) და მ. მიდლერმა (რაპირა). მონრეალის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებისთვის ასპარეზობის შემდეგი ეტაპი გაიმართება აპრილში, მინსკში.

◆ **პ რ ა ღ ა, 7 მარტი.** ბრნოში დამთავრდა მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბელგიის, ბულგარეთის, გდრის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის 14 ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა. გაიმარჯვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ჰ. ბოგუშოვსკამ (ჩეხოსლოვაკია). სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონის ნ. კუჩინსკაიას უმცროსმა დამ, ლენინგრადელმა მარინამ IV ადგილი დაიკავა და საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა — 28.333 ქულა.

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ზნაურის რაიონის მშრომელები.

ს უ რ ა თ ზ ე: ზნაურელი სტუმრების ერთი ჯგუფი.

ფოტო გ. გაბუნიასი.

ჩვენ 15 მილიონი ვართ!

დღეს 8 მარტია, ქალთა საერთაშორისო დღე. ტასს-ის კორესპონდენტი ი. არუთუნიანი ეწვია ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოება „ტრუდის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ზინაიდა ფიოდორენკოს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● რამდენი საბჭოთა ქალია ჩაბმული ფიზკულტურასა და სპორტში?

— შარშან 15 მილიონამდე იყო. ვფიქრობ, ახლა ეს ციფრი გაიზარდა. თუმცა, ციფრებს მიღმა მუდამ უნდა ვიგულისხმოთ საქმის ხარისხობრივი მხარეც. ქალების უმეტესობა, როგორც წესი, სამუშაო დღეს დილის ვარჯიშით იწყებს. ვარჯიშმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ოჯახში, საწარმოში, სასწავლო დაწესებულებაში, ყველგან, სადაც ქალები და ქალიშვილები მუშაობენ თუ სწავლობენ. ფიზკულტურის ასეთ ყოველდღიურ პროპაგანდაში პატარა როლს როდი თამაშობს რადიო. ამ ბოლო ხანს ტელევიზიაც მეტ ყურადღებას უთმობს ქალებს. კვირაობით საგანგებოდ შერჩეულ ვარჯიშთა კომპლექსებს სთავაზობს მათ.

● სპორტის რომელი სახეობები უფრო იზიდავს ქალებს?

— ქალებისთვის ყველაზე, თუ შეიძლება ითქვას, მიმზიდველია მხატვრული ტანვარჯიში, ფიგურული სრიალი და მაგიდის ჩოგბურთი. თუმცა, არც ტანვარჯიშს, აკრობატიკას, კალათბურთს, ფრენბურთს, ნიჩბოსნობას, ციგურაობას, თხილამურებს, ცურვას, წყალში ხტომას, სროლას, ტურიზმს, ჭადრაკს ჰყავს ცოტა მიმდევარი.

ქალები წარმატებით გადიან, როგორც ადრე თვლიდნენ, ერთობ მამაკაცურ სახეობებში: მოტო, საპარაშუტო, საავიაციო, საპლანერო სპორტში. ისინი უცილობელი მონაწილეები არიან მთამსვლელთა ასვლებისა, ტურისტული ლაშქრობებისა. 8000-მდე ქალს სპორტის ოსტატის წოდება აქვს მინიჭებული. 300-ზე მეტი სპორტის დამსახურებული ოსტატია. ახლა რეკორდსმენებსა და მსოფლიო ჩემპიონებს, ოლიმპიური თამაშების გმირებს არ იკითხავთ? სპორტის ყველა მოყვარულმა კარგად იცის ცნობილი მოთხილამურეების ალევტინა კოლჩინას, კლავდია ბოიარსკიხის, მოციგურეების — ვალენტინა სტენინას, ლიდია სკობლიკოვას, ტანმოვარჯიშეების — ლარისა ლატინინას, პოლინა ასტახოვას და ჩვენი ახალგაზრდა „ვარსკვლავების" — ნატაშა კუჩინსკაიას, ლარისა პეტრიკის სახელები. უცხოელი მაყურებლები აღფრთოვანებით უკრავდნენ ტაშს საბჭოთა მოფარიკავეების ვალენტინა რასტოროვას და ალექსანდრა ზაბელინას ოსტატობას, ნონა გაფრინდაშვილის ბრწყინვალე გამარჯვებას.

● ცნობილია, რომ ჩვენში ბევრი ქალია ფიზიკური აღზრდის ინსტრუქტორი, მწვრთნელი, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელი, სპორტსმენთა ექიმი. რას იტყოდით ამ ძლავრ პედაგოგიურ რაზმზე?

—პირველ ყოვლისა იმას, რომ იგი მართლაც ძლავრია: 35 ათას ქალს ითვლის. თუმცა ეს მონაცემები შარშანდელია და ვფიქრობთ, რამდენადმე უკვე მოძველდა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მათი უმეტესობა ყოფილი სპორტსმენია, ბრწყინვალედ იცის სპორტი, უყვარს იგი, ხშირად თავისუფალ დროსაც კი უთმობს ახალგაზრდების აღზრდის საქმეს. მათგან უკეთესებს აწინაურებენ ხელმძღვანელ ფიზკულტურულ სამუშაოებზე, სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებაში.

მაგალითად, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზოია ბოლოტოვა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ „უქთუსის მთების დიასახლისს" ეძახდნენ, დღეს სსრ კავშირის მოთხილამურე ქალთა ნაკრების მწვრთნელია. იგი ორგზის აირჩიეს სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ქალთა ტექნიკურ კომიტეტში.

მოყვარულ მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის ქალთა კომისიაში აქტიური მუშაობით თავი გამოიჩინეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ზოია რომანოვამ და დოცენტმა ზოია ზარუბინამ — ამ ფედერაციის თავმჯდომარემ და მდივანმა. შემთხვევითი როდია, რომ ზოია ბოლოტოვას, მარია ისაკოვას, ნინა მაქსიმელიანოვას და ზოია რომანოვას საზოგადოებრივი საქმიანობა ფიზკულტურასა და სპორტში დააფასეს. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა ისინი საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს.

● როგორია ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ჩვენს ქვეყანაში?

— დაახლოებით, 72 წელი. ეს ბევრს მეტყველებს, პირველ ყოვლისა კი იმას, რომ ცხოვრებაში გატარებული კანონმდებლობანი შრომის დაცვის, სოცდაზღვევის, უფასო სამედიცინო დახმარების, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, წარმოების ავტომატიზაციის შესახებ, ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმა, ვარჯიში, ჩვენი დების, ცოლების, დედების კარგი ჯანმრთელობის საუცხოო საწინდარია. განა შეიძლება ხანდაზმულად მოიხსენიო სპორტის დამსახურებული ოსტატები, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონები, ტანმოვარჯიშეები გალინა ურბანოვიჩი და ჩოგბურთელი ნინა ტეპლიაკოვა, — მუდამ სიცოცხლით სავსენი, მოქნილნი, სხარტნი და საქმიანნი რომ არიან.

— დღესასწაულის დღეს მთელი სულითა და გულით ვუსურვებ ყველა საბჭოთა ქალს ფიზკულტურასა და სპორტთან მეგობრობას, ახალ-ახალ წარმატებებს შრომასა და სპორტულ სარბიელზე, ჩვენი სამშობლოს 50 წლისთავის აღსანიშნავად.

მოსკოვი. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ხიმკის წყალსაცავზე. ზამთრის ცურვის მოყვარულები თვალს ადევნებდნენ „ლომვეშაპთა" ასპარეზობას ყინულოვან წყალში. ეს ღონისძიება 8 მარტის დღესასწაულს მიუძღვნეს.

ფოტო კ. მუსტაფინისა.

ნონასა და ნანას გზით

ვინც ნორჩ მოჭადრაკეს ციური კობაიძეს გაიცნობს, იოლად შეამჩნევს მის დინჯ, დარბაისლურ ბუნებას. თამაშის დროს იგი თითქოს არ ჩქარობს, არ ღელავს, თუმცა, რა თქმა უნდა, ნამდვილი ხელოვანი არასოდეს გულგრილი არ არის შემოქმედებით პროცესში, ესაა, რომ ციურის თავშეკავების დიდი უნარი აქვს.

ციური მყარი პოზიციური ბრძოლის მოტრფიალეა, იზიდავს ლოგიკა, ღრმად გააზრებული მანევრები. მისი სტილის მოჭადრაკეები, როგორც წესი, ცოდნისა და გამოცდილების შეძენასთან ერთად თანდათანობით აღწევენ დიდ წარმატებებს. ციურიზეც იგივე ითქმის.

... ჭადრაკის სიყვარულმა 7 წლის გოგონა 1 მაისის რაიონის პიონერთა პარკში მიიყვანა, სადაც თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საჭადრაკო სკოლის ჯგუფებს მწვრთნელი ო. ალხანიშვილი ხელმძღვანელობდა. იგი მოხიბლა ციურის თამაშმა. ბეჯითმა მეცადინეობამ ნაყოფიც კარგი გამოიღო — ნიჭიერმა გოგონამ მალე ვაახარა მწვრთნელიც და მეგობრებიც.

1960 წელს თბილისელ უმცროსი ასაკის გოგონათა პირველობაში კობაიძემ ნანა ალექსანდრიასთან ერთად I-II ადგილები გაიყო, 1961 წელს მეორე თანრიგი მიიღო, ხოლო ორი წლის შემდეგ 1 მაისის რაიონის ვაჟთა პირველობაში პირველი თანრიგი მოიპოვა.

1963-64 წლებში ციური კობაიძე დედაქალაქის მოჭადრაკე გოგონათა აღიარებული ლიდერია.

1964 წელს რიგაში „დინამოს" საკავშირო გუნდური პირველობა ჩატარდა. ციური საქართველოს გუნდში გოგონების დაფაზე ათამაშეს. მან 7 შეხვედრაში 6,5 ქულა დააგროვა და I ადგილზე გავიდა. 1965 წელს ციურიმ მოიპოვა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა გოგონათა შორის.

თბილისში მისი წარმატება არავის გაკვირვებია, რადგან 1964-1965 წლებში ც. კობაიძე საქართველოს ჩემპიონი იყო თანატოლებში.

საქართველოს ქალთა 1966 წლის ჩემპიონატში ციურიმ III ადგილი დაისაკუთრა და ბევრი ქომაგი შეიძინა. შარშან იგი დიდ სარბიელზეც გამოვიდა — სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობდა და თუმცა ფინალში ვერ გავიდა (1 ქულა დააკლდა), უფროს კოლეგებს თავისი ნამდვილი ძალა მაინც აგრძნობინა. ციურიმ მოუგო საერთაშორისო ოსტატ ი. გურფინკელს, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ცნობილ ოსტატებთან კ. ზვორიკინასთან, ო. კაცკოვასთან და სხვებთან.

და აი, წლეულს თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა მოსწავლეთა ასპარეზობაში. ამ ტურნირში კიდევ ერთხელ გამოვლინდა ნიჭიერი გოგონას მტკიცე ხასიათი. სტარტზე დამარცხების შემდეგ, ციური ისე „გაბრაზდა", რომ არავინ დაინდო — ყველა შეხვედრა მოიგო!

ნორჩი ჩემპიონის ყველა წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მის მწვრთნელს ო. ალხანიშვილს.

წლეულს ციური კობაიძეს სამი დიდი გამოცდა ელის — გამოცდები საშუალო სკოლაში, რომელსაც ამთავრებს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა და სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი. ვუსურვოთ მას ოცნებების ხორცშესხმა.

თ. გიორგაძე.

• • •

სურათზე: ც. კობაიძე და მისი მწვრთნელი ო. ალხანიშვილი.

ფოტო ა. საკოვისა.

ჯანმრთელობის საწინდარი

ექიმი გვირჩევს

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისას იშვიათად ითვალისწინებენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ამას ხშირად არასასურველი შედეგი მოსდევს. სწორედ ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია ბავშვებზე გამუდმებული სათანადო კონტროლი.

პირველ რიგში უნდა ჩატარდეს სამედიცინო შემოწმება სხეულის ფუნქციური შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით. შემოწმების საფუძველზე მოსწავლეები იყოფიან სამ ჯგუფად (I ძირითადი, II მოსამზადებელი და III სპეციალური). შემოწმება და სამედიცინო ჯგუფებად დაყოფა უნდა მოხდეს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. დამატებით უნდა შემოწმდნენ ბავშვები, რომლებიც დროებით გათავისუფლებული არიან ფიზიკური მეცადინეობებიდან.

დამატებითი სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს აგრეთვე სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრებების დაწყებამდე.

მოსწავლეთა სამედიცინო ჯგუფებად დაყოფის სავარაუდო ნიმუშები ასეთია:

I ძირითად ჯგუფში შედიან ჯანმრთელი და ფიზიკურად კარგად მომზადებული მოსწავლეები, ან ისინი, რომელთაც სათანადო ფიზიკური მომზადება აკლიათ, მაგრამ ჯანმრთელნი არიან და ფუნქციურად კარგად ეგუებიან ფიზიკურ დატვირთვას. ამავე ჯგუფში გაერთიანდებიან ის მოსწავლეები, რომელთაც უნაკლო ჯანმრთელობა არა აქვთ, მაგრამ რომელთა ორგანიზმშიც ფიზიკური დატვირთვები არ იწვევს მკვეთრ ცვლილებებს (გულის მოყრუებული ტონები, რაც გულის კუნთის დასუსტების შედეგად არ არის გამოწვეული, ე. წ. ჭაბუკური ჰიპერტონია, როცა მაქსიმალური წნევა 140 მმ-ს არ აღემატება, ხოლო მინიმალური ნორმალურია; პირველი ხარისხის ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია, ტუბერკულოზური ბრონქოადენიტები კომპენსაციის ფაზაში, ბრონქიტები, საზარდულის, ბარძაყის და ჭიპის რგოლის გაგანიერება თიაქარის პარკის გამობერვის გარეშე და სხვ.).

II მოსამზადებელ ჯგუფში შეიძლება ჩაირიცხონ ის მოსწავლეები, რომელთა ჯანმრთელობა უნაკლო არ არის და რომელთა ფიზიკური მომზადებაც უმნაროა. ამავე ჯგუფში გაერთიანდებიან ისინი, ვისაც აქვთ გულსისხლძარღვოვანი სისტემის ვეგეტატური ნევროზი, ენდოკრინული მოშლილობის ნიადაგზე მნიშვნელოვნად გამოხატული სიმსუქნე სისხლის მიმოქცევის დაურღვევლად, ქრონიკული კოლიტი, საყრდენ-სამოძრაო აპარატის მოშლილობა, რაც მოძრაობის შესაძლებლობას ზღუდავს (მაგალითად, ტანვარჯიშის დროს), მაგრამ ხელს არ უშლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ვარჯიშების უმრავლესობის შესრულებას და სხვ.

III სპეციალურ ჯგუფში უნდა ჩაირიცხონ ის მოსწავლეები, რომელთაც ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშანი ახასიათებთ, მაგრამ არა აქვთ საკმარისი წინასწარი ფიზიკური მომზადება და ფიზიკური დატვირთვების მიმართ დამაკმაყოფილებელი ფუნქციური შეგუების უნარი. ეს შეეხება გულსისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემებს.

ხშირად მშობლები ყოველნაირად ცდილობენ, რომ ბავშვები მოარიდონ ფიზიკურ ვარჯიშსა და დატვირთვას სკოლაში. ფიზკულტურული მეცადინეობიდან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ დროებით, სხვადასხვა მწვავე დაავადების დროს (გრიპი, ანგინა, ქვემწვავე აპენდიციტი, აბსცესები და ფლეგმონები, კანის გადამდები დაავადებანი, მკვეთრად გამოხატული სისხლის დაავადებანი და სხვ.). განკურნების შემდეგ კი მოსწავლემ ისევ უნდა განაგრძოს ფიზიკური ვარჯიში.

მოსწავლეთა ფიზიკური დატვირთვის სამედიცინო კონტროლის მნიშვნელოვანი ფორმაა სპორტული ტრავმების პროფილაქტიკა, რაც სკოლის ექიმის და ფიზკულტურის მასწავლებლის, ან მწვრთნელის საერთო მეცადინეობით ხორციელდება. სპორტული ტრავმების თავიდან აცილების მიზნით პირველ რიგში საჭიროა სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების სწორი ორგანიზაცია, კერძოდ, თანმიმდევრობის დაცვა, ფიზიკური დატვირთვის თანდათანობით გაზრდა და გართულება, თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა. ამას გარდა, აუცილებელია მეცადინეობისა და შეჯიბრების დამაკმაყოფილებელ პირობებში ჩატარება (შესაბამისი სტანდარტული სპორტული აღჭურვილობა, სპორტული დარბაზების სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა — საკმაო განათება, ჰაერის განიავება, სათანადო ტემპერატურა და სხვ.).

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და ამიტომ, ჩვენის აზრით, ამ წერილში წამოჭრილი საკითხი ყურადღებას იმსახურებს.

ვ. სამადაშვილი,

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

ორმაგი რევანში

მოსკოვი, 7 მარტი (ტელეფონით). მაშ ასე, საფრანგეთისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა. და იგი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით — 6:3. თუ გავიხსენებთ, რომ შეჯიბრების პირველ დღეს ფრანგები დაწინაურდნენ (8:2), ცხადია, ჩვენი ჩოგბურთელების მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. მაგრამ მეორე დღეს მათ დიდი მონდომებით ჩაატარეს ოთხივე შეხვედრა და ოთხივეში გაიმარჯვეს.

შედგა ორმაგი რევანში. ჯერ ერთი, საფრანგეთში ხომ ასეთივე შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით (7:2) აღინიშნა შარშან. მეორე: მეტრეველმა მოსკოვში ახლახან დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში ჩოგანი დაუშვა საფრანგეთის ცხრაგზის ჩემპიონთან პიერ დარმონთან დამარცხების ნიშნად. და ახლა, ამ მატჩში ქართველ ჩოგბურთელს „შურისძიების“ საშუალება ეძლეოდა. მან აისრულა სანწადელი და ფრანგს დაუმტკიცა კიდეც თავისი ძალა. პირველი პარტია საბჭოთა სპორტსმენმა წააგო — 7:9. მძიმე ვითარება შეიქმნა მეორე პარტიაშიც: როცა ანგარიში იყო 7:7, მეტრეველმა თავისი მოწოდება წააგო (7:8), მაგრამ... სწორედ ამ დროს ათამაშდა იგი მთელი ძალით, ანგარიში გაათანაბრა და გაიმარჯვა კიდეც — 11:9. მესამე პარტია კი ქართველმა სპორტსმენმა იოლად მოიგო — 6:2.

არანაკლებ დრამატული გამოდგა ლეიუს-ბარკლაის შეხვედრაც. პირველ პარტიაში ბარკლაი გეიმს გეიმზე იგებდა (5:1) და ლეიუსის ბედი ბეწვზე ეკიდა. გადამწყვეტ გეიმში ანგარიში იყო — 40:0 ბარკლაის სასარგებლოდ. ერთი უშეცდომო დარტყმა და ფრანგი ამ პარტიაში გამარჯვებას იზეიმებდა. მაგრამ ლეიუსმა თავის [illegible] რბა. ანგარიში გაათანაბრა [illegible] პარტიაც მოიგო — 10:8. გამარჯვება [illegible] მეორე პარტიაშიც მას დარჩა — 6:3.

ჩვენი იუნიორების შერეული წყვილი (მოროზოვა — რუბანოვი) შეხვდა ფორეერი—პრუაზის „დუეტს“. გაიმარჯვეს ჩვენებმა — 6:2, 8:6. შეხვედრა მოიგეს ლეიუსმა და ლიხაჩოვმაც, რომლებმაც დაამარცხეს დარმონი და ბარკლაი — 9:7, 6:4.

კალათბურთი — 67

სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიაჩესლავ ხრინინი საბჭოთა კალათბურთში ცნობილი ფიგურაა. იგი წლების მანძილზე იცავდა ჩვენი ეროვნული ნაკრების ღირსებას. დღეს ხრინინი კალათბურთის საკავშირო ფედერაციის მთავარი მწვრთნელია. აპნ-ის კორესპონდენტი ვ. პუგაჩოვი ესაუბრა ვ. ხრინინს 1967 წლის საერთაშორისო კალენდრის შესახებ, მის მთავარ ღონისძიებებზე და იმ პერსპექტივებზე, რაც ვაჟთა ნაკრები გუნდის წინაშეა დასახული. აი, რა განაცხადა მთავარმა მწვრთნელმა.

— წლევანდელი სეზონი გადატვირთულია დიდი მასშტაბის საერთაშორისო ტურნირებით. საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ჩატარდება ურუგვაიში (25 მაისი-10 ივნისი), უნივერსიადა (ტოკიო, აგვისტო-სექტემბერი) და ევროპის პირველობა (ფინეთი, 27 სექტემბერი-8 ოქტომბერი). არაფერს ვამბობთ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, რომელშიც ჩვენი კალათბურთის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი გამოვა.

ადვილი გასაგებია, რომ სპორტსმენებს გაუჭირდებათ თითქმის მთელი წლის მანძილზე უმაღლესი ფორმის შენარჩუნება. დღესდღეობით ნაკრების უფროს მწვრთნელებს ა. გომელსკისა და ი. ოზეროვს ყველაზე მეტად სწორედ ეს პრობლემა აწუხებთ. ცხადია, ფორმის შესანარჩუნებლად ყველაზე კარგი საშუალება მაინც ტურნირებში ინტენსიური მონაწილეობაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ნაკრების გამოსვლა კალათბურთელთა ზამთრის საკავშირო ტურნირში.

როგორ გამოიყურება სსრ კავშირის ნაკრები დღეისთვის? 1964 წელთან შედარებით მისი შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისდა. ტოკიოს ტურნირის მონაწილეთაგან გუნდში მხოლოდ 3 კალათბურთელი დარჩა: თავდამსხმელი გ. ვოლნოვი (სიმაღლე 201 სმ), მცველი ა. ტრავინი (187 სმ) და ცენტრალური თავდამსხმელი ი. ლიპსო (200 სმ). ამ სამეულში ყველაზე უფროსი — ტრავინი — 30 წლისაა, უმცროსი — ლიპსო კი — 27.

ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ ნაკრებს შემოემატა ახალგაზრდობა, რომლებმაც 2 წლის მანძილზე საკმარისად გამოიჩინეს თავი. დღეს ისინი განსაკუთრებულ ატესტაციას არ საჭიროებენ. მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ მხედველობაში გვყავს მცველი ზ. საკანდელიძე (186) თბილისის „დინამოდან“ და თავდამსხმელი მ. პაულაუსკასი (194) — კაუნასის „ჟალგირისიდან“. ამ უმაღლესი კლასის ოსტატებს ჯერ 22 წელი არც შესრულებიათ — მათი ძალები სწორედ ახლა იფურჩქნება.

ვინ არიან ნაკრების სხვა კანდიდატები?

მცველი ი. სელიხოვი (185), მოსკოველი სტუდენტი, კლუბ „ბურევესტნიკში“ თამაშობს. იგი 23 წლისაა. სელიხოვს უყვარს ბურთის უკანა ხაზზე გათამაშება, მაგრამ შეტევისთვის არც ერთ ხელსაყრელ მომენტს არ უშვებს.

22 წლის ს. ბელოვი (190), სვერდლოვსკის „ურალმაშიდანაა“. იგი მცველის ფუნქციებს ასრულებს, მაგრამ ამავე დროს შესანიშნავი სნაიპერიცაა. ა. კრიკუნი ჯერ სულ მთლად ჭაბუკია — 18 წლისაა. იგი (187) ნაკრებში ტარტუს „კალევიდან“ მოვიდა, სადაც მცველის ფუნქციებს ასრულებს.

მაღალი ტანის (205) 19 წლის თავდამსხმელი ა. ბალაშევი ვოლგოგრადის „დინამოში“ აღზარდა ნაკრების მწვრთნელის უმცროსმა ძმამ ე. გომელსკიმ. სხვათა შორის, მისსავე ხელში დაოსტატდა ევროპის 1966 წლის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ვ. ნიკიტინი (210) და მცველი ა. ბლიკი — დიდი მომავლის მქონე მოთამაშე.

თავდამსხმელი რ. ვენსბერგასი (202) ნაკრებში „პაულაუსკასის გუნდმა“ — კაუნასის „ჟალგირისმა“ გამოგზავნა. იგი 21 წლისაა. პ. ტომპსონი (193) ვენსბერგასზე 3 წლით უფროსია. იგი ტალინის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სტუდენტია.

ნაკრების მწვრთნელები ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე 3 კალათბურთელს ცდიან: 19 წლის ა. პოლივოდა (200) კიევის „სტროიტელიდან“, რომელმაც ბოლო ხანებში მწვავე და თავგანწირული თამაშისთვის სპეციალისტთა სიმპათია დაიმსახურა. ვ. ანდრეევი (21 წლის, 215 სმ) ნაკრების ყველაზე მაღალი წევრია. იგი მოსკოვის ცსკა-ში თამაშობს. 22 წლის ლენინგრადელი ლ. ივანოვი (205) ნაკრებს სამწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

ცნობილ ცენტრალურ თავდამსხმელს ა. პეტროვს ამას წინათ მენისკის განმეორებითი ოპერაცია გაუკეთეს. თუ იგი უმოკლეს ხანში დაუბრუნდა გუნდს, ნაკრების „მეორე სართულზე“ უდავოდ სიმჭიდროვე იქნება. მწვრთნელებმა ესეც გაითვალისწინეს და ასეთ საგანგებო შემთხვევისთვის გადაწყვიტეს: ი. ლიპსოს (200) შეუცვალონ პროფესია (თავდამსხმელის პოსტზე გადაიყვანონ).

გომელსკი და ოზეროვი მხედველობის არედან არ უშვებენ იმ მოთამაშეებსაც, რომლებიც ჯერჯერობით თავიანთი კლუბების ღირსებას იცავენ. პირველ რიგში მხედველობაში მყავს ზემოდასახელებული ვ. ნიკიტინი და მინსკის სპარტაკელი მ. მედვედევი. აგრეთვე, ჭაბუკთა ნაკრების მცველი ნ. მარკადევი.

აი, იმ კალათბურთელთა სია, რომელთაგანაც შეირჩევა მონტევიდეოში წამსვლელი თორმეტეული.

მსოფლიო ჩემპიონატისათვის სამზადისი მთელ რიგ საერთაშორისო შეხვედრებსაც გულისხმობს. ასე მაგალითად, განზრახულია მოსკოვში იტალიის კალათბურთელთა ჩამოსვლა. სსრ კავშირის ნაკრები რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ფინეთსა და საფრანგეთში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წლევანდელი ნაკრები მთლიანად სტუდენტურია. ამიტომ გუნდს უნივერსიადაშიც მოუწევს გამოსვლა. ჩვენი ნაკრები ამავე დროს ახალგაზრდული კოლექტივია: მოთამაშეთა საშუალო ასაკი 23 წელს არ აღემატება. ეს კი იმედს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მექსიკის ოლიმპიური თამაშებისათვის გუნდის კონტურები უკვე ნათელია.



ნაცნობი ბილიკებით

როგორც ცნობილია, ყოველწლიურად მარტის თვეში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ეწყობა სსრ კავშირის პირადი პირველობა მოტოკროსში. წლევანდელი ჩემპიონატის I ეტაპი 12 მარტს დილისში გაიმართება. ჩვენმა კორესპონდენტმა ო. გელაშვილმა ამასთან დაკავშირებით ინახულა სსრ კავშირის ცენტრალური ავტომოტოკლუბის უფროსი მწვრთნელი მოტოსპორტში ა. შარინოვი და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● **რა არის ტურნირის მთავარი მიზანი და რით განსხვავდება წლევანდელი ასპარეზობა წინა, ანალოგიური შეჯიბრებისგან?**

— ასპარეზობის მთავარი მიზანი ცნობილია: გამოავლინოს სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი 500 კბ სმ კლასის მოტოციკლებით რბოლაში და უძლიერესნი ორ ეტაპზე 250-იანებით შეჯიბრებაში. ამ კლასში ჩემპიონი კი გაირკვევა 25 ივნისს, როცა კიშინიოვში გაიმართება III ეტაპი. მაგრამ, შეჯიბრების საქართველოში ჩატარება სხვა ამოცანასაც ისახავს — შეარჩიოს უძლიერესნი, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატში დაიცავენ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას.

● **რამ განაპირობა, რომ ამგვარი შეჯიბრება უკვე მეოთხედ ზედიზედ ჩვენს რესპუბლიკაში ეწყობა?**

— პირველ ყოვლისა, სამხრეთულმა ამინდებმა, იმ ზრუნვამ, რასაც სპორტსმენებისადმი თქვენში იჩენენ და, რა თქმა უნდა, ტრასების სირთულემ. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად თბილისის, სოხუმის, რუსთავისა და ფოთის ტრასები ჰგავს იმ ბილიკებს, რომლებზეც მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები ასპარეზობენ ხოლმე.

პირველობის I ეტაპი თბილისში გაიმართება. სამი დღის შემდეგ ბრძოლის ცენტრი ქუთაისში გადაინაცვლებს, მაგრამ იქ ჩატარებული შეჯიბრება ძირითადად სააგიტაციო ხასიათისაა, ჩემპიონატის ჩათვლაში არ შედის. 19 მარტს სოხუმში მოეწყობა II ეტაპი 250 და 500 კბ სმ-ის მანქანებისთვის. ერთი კვირის თავზე კი „ოქროს მაძიებლები“ ფოთში გამოვლენ. იქ გამოვლინდება მხოლოდ 3 პრიზიორი — 500-იანებით ასპარეზობის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნები. რაც შეეხება 250-იანებით მოასპარეზეებს, როგორც უკვე გითხარით, მათი დავა კიშინიოვში გადაწყდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფოთში ისინი მაყურებლის როლში გამოვლენ. როგორც ხედავთ, წლევანდელი ტურნირის გეგმაში რუსთავი შეტანილი არ არის. ჩვენი ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელებმა შარშან შემოდგომით ფოთში ისეთი ტრასა „აღმოაჩინეს“, უკეთესს ვერც ვინატრებდით.

● **გვითხარით, როგორია ამ ასპარეზობათა ფორმულა?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ გაგაცნოთ მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის წესი. მსოფლიო ჩემპიონატის ყოველ ეტაპზე (14-14 ეტაპი ორივე კლასისთვის) მონაწილენი 2-2 ცდას ასრულებენ. ამიერიდან საკავშირო ჩემპიონატშიც ასეა. მსოფლიო პირველობისას ეტაპზე გამარჯვებული მიიღებს 8, II ადგილზე გასული 6, III პრიზიორი — 4 მომგებიან ქულას. სხვები კი თითო ქულით ნაკლებს. ჩვენთან პირიქითაა. გამარჯვებულს ეწერება 1 საჯარიმო ქულა, II პრიზიორს — 2 და ა. შ. გამარჯვებულად ჩაითვლებიან: მსოფლიო პირველობაში — ვინც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს, სსრ კავშირის ჩემპიონატში — ვისაც ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა ექნება. თბილისში სპორტსმენებმა ყოველ ცდაზე 12-13-ჯერ უნდა შემოუარონ დაახლოებით 2-კილომეტრიან წრეს, ესე იგი, ტრასაზე უნდა დაჰყონ 35-40 წუთი.

● **რაკი მსოფლიო ჩემპიონატზე ვსაუბრობთ, გვიამბეთ როგორია საბჭოთა სპორტსმენების მაჩვენებლები ადრინდელ ტურნირებში?**

— საერთაშორისო სარბიელზე პირველ დიდ წარმატებას მიაღწია კიეველმა არმიელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. გრიგორიევმა, რომელმაც 1963 წელს III ადგილი დაიკავა. ერთი წლის თავზე „ბრინჯაო“ ისევ საბჭოთა სპორტსმენს, მაგრამ ამჯერად მოსკოველ ვ. არბეკოვს (ცსკა) ხვდა წილად. შარშანწინ კი არბეკოვმა ბრწყინვალედ იასპარეზა და ჩემპიონატის დამთავრებამდე გაინაღდა მსოფლიოს უძლიერესი მოტოციკლისტის სახელი. შარშან შედეგები უფრო მოკრძალებული იყო. მართალია, არბეკოვიც, გ. დრაუგსიც (რიგა), ზ. კალკისიც ცალკეულ ეტაპებზე კარგად გამოვიდნენ, მაგრამ საბოლოოდ საპრიზო ადგილები ვერ დაისაკუთრეს. წლეულს მეტის იმედი გვაქვს. ვფიქრობთ, ესპანეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, შვეიცარიის, იტალიისა და სხვა ქვეყნების ტრასებზე ჩვენი ბიჭები კარგად იასპარეზებენ, ვინაიდან უკეთ არიან მომზადებულნი. თითო ეტაპი ჩვენს ქვეყანაშიც გაიმართება: 500-იანებისთვის 25 ივნისს კიშინიოვში, ხოლო 250-იანებისთვის 6 აგვისტოს, ბელგოროდში.

● **როგორ ფიქრობთ, წლეულს ვინ დაიცავს ჩვენი სპორტის ღირსებას მსოფლიო პირველობაში?**

— ჯერჯერობით გადაწყვეტით რაიმეს თქმა ძნელია. ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს საკავშირო პირველობის სამივე ეტაპის შედეგები გაგვცემს, მაგრამ ფავორიტების დასახელება მაინც შეიძლება: ვ. არბეკოვი, კიეველები ი. გრიგორიევი და ლ. შინკარენკო, მოსკოველები ვ. პეტუშკოვი, ვ. ტიურინი, ვ. კრასნაშჩიოკოვი, ლატვიელები გ. დრაუგსი, ზ. კალკისი, ა. კლიავინში, ვ. ბრუნასი, თბილისელები ვ. კოტლიაროვი, გ. ბეგიაშვილი, ჭაბუკთა შარშანწინდელ საკავშირო ტურნირში გამარჯვებული ა. კლდიაშვილი და სხვები. ყველა მათგანი თბილისში აიღებს სტარტს, სადაც პირველობისთვის ბრძოლაში ჩაებმება 75-მდე მოტოციკლისტი. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენი ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი ზ. კალკისი (რიგა) ერთ ხანს ავადმყოფობდა, სპორტული ფორმა ჯერჯერობით ვერ აღიდგინა და ვფიქრობთ, ნაკრებში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდება.

● **როგორც ცნობილია, მოტოსპორტი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაში შეიტანეს. რა სახეობებში გაიმართება ტურნირი და თქვენის აზრით როგორია საქართველოს ათლეტთა პერსპექტივა?**

— ჩატარდება მოტოკროსი, მრავალდღიანი რბოლა და წრიდან ბილიკებზე ასპარეზობა. მე მგონი, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საქართველოს მოტოციკლისტებს მეტი შანსი მოტოკროსში აქვთ. აქ ისინი V ადგილზე მაინც უნდა გავიდნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, სულ ადვილი შესაძლებელია უფრო მაღალი ადგილებიც დაიკავონ. ქართველ სპორტსმენებს უფრო გაუჭირდებათ წრიდან ბილიკებზე შეჯიბრება და მრავალდღიანი რბოლა. მაგრამ, ვფიქრობ, სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში ისინი ძალ-ღონეს არ დაზოგავენ საიმისოდ, რომ არც ამ უბანზე შეირცხვინონ თავი. აქვე დავძენ: ეს ტურნირი სპარტაკიადისთვის ძალთა შესანიშნავი შემოწმებაა და პერსპექტივებზე საუბარიც, ალბათ მისი დამთავრების შემდეგ უფრო იოლი იქნება.

• • •

სურათზე: ძნელი აღმართი.

ახალი ამბები

● **სან-ფრანცისკო, 6 მარტი.** ოკლენდის დარბაზში ამერიკელ მძლეოსანთა ზამთრის პირველობაზე მსოფლიო რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში რ. ბოსტონმა დარბაზში თავისი საუკეთესო ნახტომი (811 სანტიმეტრი) აჩვენა, მაგრამ წააგო ახალგაზრდა ბ. ბიმონთან, რომელმაც ამერიკის ახალი მიღწევა დაამყარა — 821,5 სმ.

● **კანზას-სიტი, 6 მარტი.** დარბაზებისთვის მსოფლიო მიღწევა გაიმეორა ახალგაზრდა თარჯმორბენალმა ჯ. ბაიერმა: 60 იარდზე თარჯრბენში მან აჩვენა 6,6.

● **ხობარტი, 6 მარტი.** მსოფლიოს ყველაზე სამხრეთით მდებარე ქალაქში, ავსტრალიის შტატის ტასმანიისა და ნახევარკუნძულის დედაქალაქში პ. კილბორნმა ხუთჭიდში ძალზე მაღალი შედეგი (4672 ქულა) აჩვენა და ავსტრალიის ჩემპიონი გახდა.

● **სტოკჰოლმი, 6 მარტი.** აქ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში შვეციელმა სიმაღლეზე მხტომელმა, 18 წლის კ. სელიონმა 213 სანტიმეტრი დასძლია. 210 სანტიმეტრი აჩვენა ბ. იონსონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა

რეკორდების წვიმა ბრემენში

როგორც ვიტყობინებოდით, ბრემენის (გფრ) 25-მეტრიან აუზში გაიმართა ტრადიციული შეჯიბრება, რომელშიც მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის რეკორდსმენებიც მონაწილეობდნენ. ამ ასპარეზობაში სსრ კავშირის სპორტსმენები პირველად ცდიდნენ ძალას, ბევრმა წარმატებასაც მიაღწია და ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდებიც დაამყარა (ცურვის საერთაშორისო ფედერაციისგან განსხვავებით ჩვენში ამგვარი რეკორდების რეგისტრაციაც ხდება).

ლენინგრადელმა ტ. საველიევამ 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში 2.30,6 აჩვენა და 5 წლის რეკორდი გააუმჯობესა. მისმა თანაქალაქელმა ჭ. კრეისმა კი ამავე სტილით იგივე დისტანცია 2 წუთსა და 15,7 წამში გასცურა. ეს ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ახალი რეკორდია. მანვე 100 მეტრზე ცურვაში გააუმჯობესა ძველი რეკორდი — 1.01,8. ასეთივე დრო ჰქონდა უნგრელ ი. ჩიკანს.

. თავისუფალი სტილით ცურვაში მოსკოველმა ლ. ილიჩოვმა ორი რეკორდი დაამყარა. ჯერ 100 მეტრზე ისახელა თავი — 53,1 (აქ პირველი იყო ინგლისელი რ. მაკგრეგორი — 52,9), მერე 200 მეტრზე — 1.55,4. ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდით აღინიშნა კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მეტრზე. „კვარტეტმა", რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ჭ. კრეისი, გ. პროკოპენკო, ვ. კუზმინი და ლ. ილიჩოვი, დისტანცია 4 წუთსა და 3 წამში დაამთავრა.

რეკორდების ცხრილში ახალი შესწორება შეიტანა ხარკოველმა ტ. დევიატოვამ, რომელმაც 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში III ადგილი დაიკავა, — 2.23,8 (გაიმარჯვა ა. კოჟმა — 2.23,4). 100 მეტრზე ბრასით ცურვაში უძლიერესი გახლდათ ლვოველი გ. პროკოპენკო 1.06,3. მეორეც საბჭოთა სპორტსმენი 20 წლის ე. მიხაილოვი იყო — 1.08,3. 200 მეტრზე ბრასით ცურვაში შედარებით წარუმატებლად გამოვიდა მსოფლიოს რეკორდსმენი გ. პროზუმენშჩიკოვა — 2.45,9. პირველობა დაისაკუთრა ამერიკელმა კ. ბოლმა, რომელმაც ამ დისტანციაზე ცურვის ისტორიაში საუკეთესო შედეგი — 2.40,2 აჩვენა.

ოდესელთა იოლი გამარჯვება

რუსთავი. „მეტალურგის" სტადიონი. 7 მარტი.

„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ასკ (ოდესა) 0:3 (0:1).

მოსკოვი: პოლიაკოვი, ზაიცევი, პრუდნიკოვი, ერიომინი, როდიონოვი, უსატორე, ორეშნიკოვი, დავიდოვი, შელუდკო, პეტროვი, კოროტკოვი.

ოდესა: გრიშკოვი (დიორდიევი), შვედიუკი, კოლბასიუკი, მანზიიჩუკი, ზახაროვი, აპუხტინი, გორბაჩი, პრიგორკო, პეტროვი, ხარიგინი, ნაიდა.

მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

პირველ ტაიმში ოდესელებს ქარი ეხმარებოდა. გოლი, რომელიც მათ გაიტანეს, დამსახურებული იყო, მაგრამ მეორე ტაიმში ქარის წინააღმდეგაც ისინი კარგად თამაშობდნენ. მცველები ერთმანეთს ეხმარებოდნენ. თავდასხმაში კი სწრაფი გარღვევები, სახიფათო გადაცემები მუდამ საშიშროების წინაშე აყენებდა მოსკოველთა კარს. ოდესელები მთელი თამაშის მანძილზე უპირატესობას ინარჩუნებდნენ და ეს ანგარიშსაც ეტყობა.

პირველსავე წუთზე „ლოკომოტივის" კარი ძელმა იხსნა. მე-8 წუთზე სუსტად ითამაშეს მოსკოველთა მეკარემ და მცველებმა და პეტროვმა გახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ აპუხტინი შეიჭრა რკინიგზელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარემ. 51-ე წუთზე მოსკოველები დაჯარიმდნენ. საჯარიმო კარგად გამოიყენეს არმიელებმა და უმეთვალყუროდ დარჩენილმა პრიგორკომ მეორე გოლი გაიტანა. მე-60 წუთზე მანვე ანგარიში სამამდე გაზარდა.

რ. ბაბრიძიძე,
(ჩვენი კორ.).

ს უ რ ა თ ზ ე: ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი. ქუთაისელთა ფორვარდს ჯ. ხაჟალიას გააქვს მეოთხე ბურთი ლოკომოტიველთა კარში.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

* * *

გუშინ...

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა კიდევ რამდენიმე შეხვედრა.

ბაქოში, საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი „ნეფტიანიკისა" და ოდესის „ჩერნომორეცის" ფეხბურთელთა მატჩი. ანგარიში მასპინძლებმა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გახსნეს. გოლი გაიტანა ზეინალოვმა. 75-ე წუთზე გაჯიევმა მეორედ შეარხია ოდესელთა კარის ბადე.

ტაშკენტში თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტი" და ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელი". 90-წუთიანმა ბრძოლამ უძლიერესი ვერ გამოავლინა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

დუშანბეში ადგილობრივმა „ენერგეტიკმა" მიიღო ყარაგანდის „შახტიორი". სტუმრების უპირატესობა ამ შეხვედრაში აშკარა იყო. მათ მეტოქეთა კარში სამი „მშრალი" ბურთი გაიტანეს. — 3:0.

ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

პორტუგალია: „ბენფიკას" წარმატება

პორტუგალიის საფეხბურთო ჩემპიონატის XVIII ტურში ლისაბონის „ბენფიკა" შეხვდა ლისაბონის „ატლეტიკოს". „ბენფიკამ" აშკარა უპირატესობით მოიგო მატჩი — 2:0. გოლები გაიტანეს ეუსებიომ და სიმოესმა.

„ბენფიკას" მთავარმა მეტოქემ, კოიმბრას „აკადემიკამ" სენსაციური დამარცხება განიცადა ბოლო ადგილზე მყოფ „სან ჟოანენსესთან" — 0:1. დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბელენენსესი" — „ვარზიმი" 2:0, „გიმარაისი" — კუფ-ი 3:1, „პორტო" — ბრაგას „სპორტინგი" 3:1, „ბეირა მარი" — „ლეიქსოესი" 3:0, სეტუბალის „ვიტორია" — „სპორტინგი" 0:2.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„ბენფიკა"	18	42:14	30
„აკადემიკა"	18	35:14	28
„პორტო"	18	39:21	25

ე. ერერა „ინტერის" გადახალისებას გეგმავს

მილანის „ინტერნაციონალეს" მწვრთნელი ე. ერერა გუნდის გადახალისებას აპირებს. მან შეთანხმებას მიაღწია კლუბის პრეზიდენტ ა. მორატისთან, რომ მომავალ სეზონში გუნდში მიიწვიონ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი სხვა კლუბებიდან. მწვრთნელს პირველ რიგში აინტერესებს ნახევარმცველი იულიანო („ნაპოლი") და გარემარბი რივა („კალიარი").

იტალიის სპორტული პრესა აღნიშნავს, რომ იულიანოს ყიდვის შემთხვევაში ზედმეტი იქნება სუარესი. მას ან „ნაპოლიში" გადასვლა, ან ესპანეთში დაბრუნება მოუხდება.

ბრაზილიელი ვეტერანი ჟაირ ჟინიჩიო მალე დატოვებს გუნდს. იშვიათად გამოდის ჟინიჩიოს თანამემამულე ჟაირიც. პრესა შენიშნავს, რომ ა. მორატი ჟაირის საფასურად დიდ ფულს თხოულობს და ჯერ მუშტარი ვერ ნახა, მაგრამ ზაფხულში დაიწყება „დიდი ბაზრობა" და ჟაირის გაყიდვა მაშინაც მოესწრება.

ერერა ურჩევს მორატის ალტაფინის („მილანი") ყიდვას, მაგრამ ცენტრფორვარდის პოსტზე ახალგაზრდა კაპელინის კარგი დებიუტის შემდეგ, მორატი თავს იკავებს. ერთი სიტყვით, უახლოეს დროში „ინტერნაციონალეში" მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი.

საპატიო პრიზისთვის ბრძოლა დაიწყო

დაიწყო სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება. კენჭისყრამ მონაწილენი ასე დაანაწილა: I ჯ გ უ ფ ი — „კრუზეირო" და „სანტოსი" (ბრაზილია), „უნივერსიტარიო დეპორტივო" და „სპორტ ბოისი" (პერუ), „დეპორტივო გალისია" და „დეპორტივო იტალია" (ვენესუელა); II ჯ გ უ ფ ი — „რესინგი" და „რივერ პლეიტი" (არგენტინა), „ლიტორალი" და „ბოლივარი" (ბოლივია), „ნასიონალ მედელინი" და „სანტა ფე" (კოლუმბია); III ჯ გ უ ფ ი — „პენიაროლი" და „ნასიონალი" (ურუგვაი), „უნივერსიდად კათოლიკა" და „კოლო კოლო" (ჩილი), „ემელეკი" და „ფე ბარსელონა" (ეკვადორი), „სერო პორტენო" და „გუარანი" (პარაგვაი).

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ყოველი ქვეყნის ორი წარმომადგენელი (ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი) გამოდის.

ამ დღეებში ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ჩატარდა გათამაშების პირველი მატჩი. ადგილობრივმა „დეპორტივო გალისიამ" წააგო ბრაზილიის „კრუზეიროსთან" — 0:1.

მ ო კ ლ ე დ

მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, პორტუგალიის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა ტრიუმვირატი: გ. და სილვა, ფ. კასტადა და ჟ. პერეირა. როგორც ცნობილია, ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბრაზილიელი ო. გლორია ესპანეთის ჩემპიონს მადრიდის „ატლეტიკოს" წვრთნის.

როგორც იტალიის გაზეთი „პაეზე სერა" იუწყება, გფრ-ის ნაკრების ცნობილი ნახევარმცველი, 21 წლის ფ. ბეკენბაუერი (მიუნხენის „ბაიერნი") მომავალი 5 სეზონის განმავლობაში აშშ—კანადის ეროვნული ლიგის გუნდში ითამაშებს. ეს გუნდია კანადის „ტორონტო ფალკონსი". ამ ხნის განმავლობაში ბეკენბაუერი მიიღებს 50 ათას გირვანქა სტერლინგს. კანადელები მოლაპარაკებას აწარმოებენ სხვა დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებთანაც.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 11 მარტს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

დაწინაურდა ი. სპესივცევი

თბილისის მოშაშეთა პირველობის 4 ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: ი. სპესივცევი (3,5), ნ. ხუციშვილი, გ. მაღლაშვილი, ნ. მამაკოვი, ვ. კანდელაკი (3-3), ზ. თუმანიშვილი, ვ. ინწკირველი, გ. ბახტაძე, ა. ჩარგეიშვილი, ა. ბარბარიანი, ს. სულტანოვი (2,5-2,5).

ბოლო ორ ტურში ზოგიერთი ცვლილება მოხდა. თუმანიშვილი ყაიმის შემდეგ IV ტურში დამარცხდა სპესივცევთან. ორ ყაიმს დასჯერდა კანდელაკი.

აღსანიშნავია მამაკოვის გამარჯვება ვინიკთან, ხუციშვილისა — ჩარგეიშვილთან.

10 წლის ბ. შავერდიანმა საინტერესო ბრძოლა გაუმართა მოსწავლეთა შორის თბილისის ჩემპიონს ა. ბერუაშვილს. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. IV ტურში ნორჩმა მოშაშემ სძლია დ. ალავიძეს.

ს. ბახლაჯიანი,
პირველობის მთავარი მსაჯი,
სპორტის ოსტატი.

შაში

△ **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიელი მძლეოსნები ემზადებიან კონტინენტის ზამთრის პირველობისთვის, რომელსაც მარტის შუა რიცხვებში თვითონ უმასპინძლებენ. გუნდის დასაკომპლექტებლად მათ რამდენიმე შეჯიბრება გამართეს. ბრატისლავაში რ. ჰიუბნერმა და რ. ბაუდისმა 213 სმ სიმაღლე დაძლიეს. რიგგარეშე, მეოთხე ცდაზე ბაუდისმა 216 სმ-იც გადალახა, მაგრამ მიღწევად არ ჩაითვლება. მერე პრაღაში ბაუდისმა მიზანს მიაღწია — 214 სმ დაძლია და ქვეყნის ახალი მიღწევა დაამყარა. 50 მ თარჯრბენში ა. სამიშევამ კონტინენტის მიღწევა გააუმჯობესა — 6,8.

△ **ბელგრადი.** ქალაქის დახურულ სტადიონზე გაიმართა იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, იუგოსლავიისა და პოლონეთის მძლეოსანთა საერთაშორისო შეხვედრა, რომლის მონაწილეებმა რამდენიმე კარგი შედეგი მოიპოვეს. აი, ზოგი მათგანი: 60 მ რბენა — პ. ჯანატასიო (იტალია) — 6,6, 800 მ — ი. ბალკე (გფრ) — 1.54,1, 3.000 მ — ლ. მეჩერი (უნგრეთი) — 8.08,6, ჭოკით ხტომა — ლ. რეინერი (გფრ) — 480, ბირთვი — ვ. კომარი (პოლონეთი) — 17,09. 400 მ რბენაში მ. კინდერმა (გფრ) ევროპის მიღწევა დაამყარა — 47,6.

△ **ს ა უ თ-ბ ე ნ დ ი (აშშ).** დარბაზში 300 იარდზე რბენაში მსოფლიოს ახალი მიღწევა (29,9) აჩვენა ჩიკაგოს უნივერსიტეტის სტუდენტმა ჯ. კრომბიმ, რომელიც შარშან აშშ-ის 50 საუკეთესო სპრინტერის სიაშიც კი არ იყო.

△ **მ ე ლ ბ უ რ ნ ი.** მძლეოსნობაში ქვეყნის ჩემპიონატისწინა ტურნირში ლეიმ 200 მეტრი 20,8-ში გაირბინა. პეკჰამმა 216 სმ სიმაღლე გადალახა და 2 სმ-ით აჯობა სნიზუელს. კოულიმ სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოში სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი (796 სმ) აჩვენა, 80 მ თარჯრბენში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა კილბორნმა ეს დისტანცია 10,4 წამში გაირბინა.

△ **ლონდონი.** ევროპის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატში გამოსვლისთვის მზადებისას ინგლისელმა სტირლინგმა 440 იარდზე 56,3 აჩვენა, რაც კონტინენტის ახალი მიღწევაა. ქალთა სიმაღლეზე ხტომა მოიგო ნოულისმა — 169 სმ.

△ **ლოს-ანჟელოსი.** როგორც ცნობილი გახდა, აშშ-ისა და ბრიტანეთის ქვეყნების მძლეოსანთა კავშირები შეთანხმდნენ მატჩის თარიღზე. იგი გაიმართება ამ ქალაქში 9-10 ივლისს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3.95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3.93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 6 უე 03175